ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724325001
თარიღი:20/11/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N- 06

დ. ლენტეხი. 15 ნოემბერი 2024წ

მიმდინარე წლის 15 ნოემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომა ესწრებოდა ბიუროს 10 (ათი)წევრი. ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი:

1. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

/მომხს. გ. გაზდელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი.

1. **მოისმინეს: ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1.„ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მარტის გ-97.97230901 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

3.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 (ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი/

4. 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

/მომხს: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

1. **მოისმინეს: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციირების თაობაზე“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მარტის გ-97.97230901 განკარგულებაში ცვლილება შედის სათაურში და უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციირების თაობაზე“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

ბიუროს წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საკითხი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციირების თაობაზე“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მარტის გ-97.97230901 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. **მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე განხილული იყო საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომაზე და კომისიამ დადო დასკვნა.**

დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა:

კომისიის გადაწყვეტილების თანახმად: მოხდეს აკრედიტირებული ექსპერტიზის მოწვევა, დაიდოს შესაბამისი დასკვნა და პრივატიზაციის შემთხვევაში მოხდეს მისი კანონიერი შეფასება, ამის შემდეგ მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება გაყიდვა გასხვისების თაობაზე. შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებით საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე და დადგეს კენჭისყრაზე.

ბიუროს წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3.ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 (ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შევიტანოთ სხდომის დღის წესრიგში, რადგანაც სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხელი შეეშალა კომისიის სხდომის ჩატარებაში, ამიტომ აღნიშნული ანგარიში მოვისმინოთ სხდომაზე.

ბიუროს წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 (ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ გათვალისწინებული იქნას სხდომის დღის წესრიგში.

4.მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ ბიუროს წევრებს გააცნო 2025 წელს

განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები. მან დეტალურად გაშიფრა თითოეული პროექტის მიზნობრიობა.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა პროექტების შერჩევის დროს განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმ სოფლებზე, რომელთაც არ შეხებიათ ჩასახლება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა შენიშვნა გააკეთა სოფ. ლექსურაში სანიაღვრე არხის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომ სამუშაო გაცილებით დიდია, ვიდრე გამოყოფილი თანხა.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ გადამოწმდება დაგეგმილი პროექტები და თანხები.

რცხმელურის თემში დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნა გააკეთა დალი ტვილდიანმა.

პასუხად საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ სოფ. რცხმელურში და სოფ. ყვედრეშში მაჟორიტარმა დეპუტატმა და რწმუნებულმა ჩაატარონშეხვედრა მოსახლეობასთან და მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით გადაწყდეს შესასრულებელი პროექტები.

იყო შეკითხვა სპორტ. დარბაზის პროექტთან დაკავშირებით.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროექტთან დაკავშირებით არის პრობლემა, რომელიც ამ ეტაპზე არ გვარდება. გათბობის სისტემა მოწესრიგებულია, მაგრამ საქვაბე არ არის და შესაძენია. შემსრულებელი ჯარიმაზეა.

იყო შეკითხვები სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

ბიუროს წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე - 10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საკითხი 2025 წლის პროექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დასრულდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი